

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

სესილი ბერიაშვილი

**ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დროს კბილის კარიესის და  
პაროდონტის დაავადებათა განვითარების რისკ-ფაქტორები მოზარდთა  
ასაკში.**

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის, კერძოდ ჰიპოთირეოზის დროს კბილის კარიესის და პაროდონტის დაავადების ეპიდემიოლოგიისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლა.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირველადაა გამოკვლეული პაროდონტის ქსოვილთა დაზიანების დროს, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური, ნერწყვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები და სისხლის რეოლოგიური კვლევა ჰიპოთირეოზით დაავადებულთა შორის. ნაჩვენებია ნერწყვის კრისტალიზაციის ტიპი ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დროს. შესწავლილია მიკროცირკულაციის დარღვევები, რომელიც გამოიხატება რეოლოგიური პარამეტრების ცვლილებების ერთობლიობაში, დადგენილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რეოლოგიურ ცვლილებებსა და ფარისებრი ჯირკვლის ფონზე განვითარებულ ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებებს შორის. ეს მეთოდი, პირველად იქნა გამოყენებული მოზარდებში ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დროს კბილის კარიესის და პაროდონტის დაავადებათა განვითარების პირობებში. ასევე ჩატარებულია ფარისებრი ჯირკვლით დაავადებულ მოზარდებში ბაქტერიოლოგიური კვლევა პირის ღრუს მიკროფლორის დადგენის მიზნით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ საკითხი ძალზე აქტუალურია, რადგან აქვს პრაქტიკული გამოყენებითი მხარე. კვლევებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მოზარდებში ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის შეცვლა არის პაროდონტის ქსოვილთა დაავადებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას ჩაუტარდეთ მოზარდებს ფარისებრი ჯირკვლის შეფასება, ჩვენს მიერ მოწოდებული სისხლის რეოლოგიური კვლევითა და ნერწყვის კრისტალიზაციით, ხოლო შემდგომ მათი გაგზავნა ექიმ ენდოკრინოლოგთან, ვინაიდან ეს იქნება პაროდონტის ქსოვილთა დაავადებების მკურნალობის და მართვის ეფექტურობის წინაპირობა. ამიტომ ყველა მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს პაროდონტის ქსოვილთა დაავადებების გავრცელების კოეფიციენტის შემცირებას ძალზე აქტუალურია. გარდა რეკომენდაციებისა, რომელსაც ჩვენ ვიძლევით, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოზარდებში, პაროდონტის ქსოვილთა დაავადებების პირველივე სიმპტომების აღმოჩენისას, სასურველია შეფასდეს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობა, ამ მხრივ, ჩვენი მონაცემები ნამდვილად დაეხმარება პაროდონტის დაავადებათა სწორ დიფერენციაში და მკურნალობის ტაქტიკის სწორ შერჩევაში.